

წევრები ჩვენს შესახებ

ცოტა ხნის წინ გვთხოვეს, საკრედიტო კავშირზე პატარა სტატია დაგვწერა. ამის გამო მეცენატსა და პროექტების ინიციატორ, ქალბატონ ელისაბედ გასტს მივმართეთ, რამოდენიმე სიტყვით **EthicCapital** -ის მუშაობის შესახებ საკუთარი აზრი გამოეთქვა. ჩვენი კავშირის ხელმძღვანელ, დავით ნიგურიანს, ქალბატონ ელისაბედთან საქართველოში, მისივე ფონდის ფარგლებში, ბავშვებთან და ახალგაზრდებთან ერთობლივი საქმიანობა აკავშირებს.

ქალბატონი ელისაბედის პასუხი იმდენად დადებითი და ჩვენთვის სასიხარულო იყო, რომ გადავწყვიტეთ, ამონარიდი ციტატის სახით გამოვაქვეყნოთ და აქვე მას გულითადი მადლობა გადავუხადოთ!

ასევე გვსურს, ყველა ჩვენს წევრს ვთხოვოთ, ორიოდ სიტყვით მოგვწეროთ საკუთარი აზრი **EthicCapital**-ის შესახებ, რასაც მომდევნო წერილებში გამოვაქვეყნებთ. თქვენი მოსაზრებები, იდეები, კრიტიკული შენიშვნები ძალიან გაგვახარებს!

„საკრედიტო კავშირ **EthicCapital** -ის დაფუძნება დავით ნიგურიანის და მისი თანამშრომლების მიერ საქართველოში, მომავლისკენ მიმართული საქმიანობაა, რომელსაც მართლაც ახალი ხედვები შეაქვს საზოგადოებასა და ადამიანთა თანაცხოვრების სოლიდარობაში. მე საკრედიტო კავშირის წევრი ვარ და ვცდილობ მისით დავაინტერესო ადამიანები.“

ელისაბედ გასტი „ელისაბედ გასტის ფონდი“-ს დამფუძნებელი

ჩვენი თანამშრომელთა კრებიდან

ამ წერილში გვსურს, ცოტა რამ ჩვენ საქმიანობის საფუძვლების შესახებ მოგიტხროთ, რომლის განხილვაც ჩვენთან, მუშაობის მიმდინარეობის პარალელურად, ფინჯან ყავასთან ერთად რეგულარულად ხდება.

ჩვენი ყოველკვირეული თანამშრომელთა კრების საგანი, ბოლო დროს შემდეგი გახლდათ - როგორ შეიძლება თვითოეული ჩვენთაგანმა გათვითცნობიერებული პასუხისმგებლობა და თვითინიციატივა **EthicCapital** -ში ეფექტური მუშაობისათვის გამოიყენოს. ჩვენს ახალბედა ორგანიზაციას, საქართველოს ფინანსური სამყაროსთვის შედარებით ახალი იდეების დანერგვისას სურს, ჯგუფურ მუშაობასთან ერთად თვითოეული თანამშრომლის ინიციატივასა და პასუხისმგებლობას ეყრდნობოდეს.



თანამშრომელთა კრება

აქტიური განხილვის საგანი გახდა კითხვები, რომლებიც გარკვეული პერიოდის განმავლობაში ხშირად ისმოდა. ერთისმხრივ დადგა საკითხი - რატომ არის ყველა იდეის ავტორი ერთი პირი და აქვთ თუ არა იდეები სხვებსაც? რომლის საპირისპიროდაც დაიბადა კითხვა - არის კი ჩემი იდეები სასურველი, რამდენად კარგია ისინი და პოვნებენ თუ არა მხარდაჭერას.

გაუქდრებელ კითხვებზე საუბარმა შედეგად პასუხები გააჩინა: რატომ უნდა მეც მაქვს იდეები და ისინი არამხოლოდ სასურველი, არამედ აუცილებელიც კია! კიდევ ერთხელ ნათელი გახდა, რომ ჩვენ, ყველას, მართლაც ერთიდაიგივე რამ გვინდა - ერთობლივად ვიმუშაოთ და ამავდროულად ვიკისროთ პასუხისმგებლობა, განვახორციელოთ საკუთარი იდეები. თუმცა თანამშრომელთათვის ყოველივე მანამდეც, ასე თუ ისე ნათელი იყო, მაგრამ საკითხის თემატიზირებამ ეს, კიდევ უფრო მკაფიო გახადა.

ამის შემდეგ, ბუნებრივია გაჩნდა მთავარი კითხვა - როგორ? როგორ უნდა მოვახერხო იმის კეთება, რასაც მე მნიშვნელოვნად ვთვლი ისე, რომ ემთხვეოდეს იმას, რაც სხვათა აზრით არის მთავარი. ანუ, როგორ უნდა შევძლო გავითვალისწინო სხვათა იდეები და როგორ მოვიპოვო ნდობა. საჭიროა თუ არა, სხვებმა დამარწმუნონ, რომ მათი იდეა სანდოა? დასკვნა საეთი იყო - ეს ის პროცესია, რომელიც ღია ურთიერთთანამშრომლობას უნდა ემყარებოდეს და მისი საფუძველი თვითოეული ჩვენთაგანის აქტივობა უნდა იყოს, სხვა შემთხვევაში განსახილველი მასალაც არ იარსებებს.

ჩვენი საუბრები შესაძლებელია ოთხ კონკრეტულ კითხვაში მოვაქციოთ:

- როგორ შემიძლია ავიღო პასუხისმგებლობა ჩემს საქმიანობაზე, ან როგორ არის შესაძლებელი მათი თანამშრომლებზე გადანაწილება?
- როგორ შეიძლება ამასთანავე ჩემი სამუშაო სფეროდან გამომდინარე ვიყო საერთო იდეის თანამონაწილე?
- როგორ არის ამავდროულად შესაძლებელი არ მოხდეს თანამშრომლის დაბრკოლება?
- როგორ გავიგო, რას მოელიან ჩემგან?

დასკვნა ასეთია - პირველი ორი კითხვა პიროვნების მეს, ბოლო ორი კი ჯგუფში კომუნიკაცას უკავშირდება. შესაბამისად, საჭიროა საკუთარ თავთან კომუნიკაციისა და თანამშრომლებთან აზრთა გაცვლა-გამოცვლის გამართული ფუნქციონირება.


საკრედიტო კავშირის ახალი წევრები

გვინდა სიხარული გამოვთქვათ 8 ახალი წევრის შემომატების გამო და მივესალმეთ მათ. საკრედიტო კავშირის წევრთა რიცხვი 71-მდე გაიზარდა.

სიახლეები

დაფინანსებული პროექტები

EthicCapital -ის საკრედიტო პორტფელი 23 800 ევროს შეადგენს და ჩვენს საკრედიტო პოლიტიკასა და სხვადასხვა სფეროებზე სესხის გაცემისას გამოკვეთილ პრიორიტეტებს მოიცავს. ქვემოთ მოყვანილი, საკრედიტო კავშირის მიერ დაფინანსებული პროექტების გარფიკი, საქართველოში ამ დროისათვის აქტუალურ ეკონომიკურ გამოწვევებს ასახავს. სოფლის მეურნეობის განვითარება ქართული რეალობისათვის ერთ-ერთ ძირითად თემას წარმოადგენს, შესაბამისად ჩვენთანაც ეკოლოგიური მეურნეობის პროექტების წილი ყველაზე დიდია. ჩვენ გვახარებს ქვეყნის განვითარების ამ მნიშვნელოვან ნაწილში წვლილის შეტანა და სიამოვნებით ვაკვირდებით **EthicCapital** -ის საქმიანობის შედეგებს.



სესხი შვეიცარიული ალტერნატიული ბანკი ABS -ისაგან

EthicCapital -ს ჯერ კიდევ არ შესწევს ძალა დააკმაყოფილოს ყველა საკრედიტო მოთხოვნა და ამბიციურად მუშაობს დამატებითი კაპიტალის მოსაზიდად. ამ მუშაობის შედეგად, არამხოლოდ საკრედიტო კავშირის სასესხო კაპიტალი იზრდება, არამედ იბმება მნიშვნელოვანი კავშირები, რომელთაც ჩვენი სამომავლო განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვთ. მოხარულნი ვართ, რომ შვეიცარიული ალტერნატიული ბანკი **ABS** -ი დაინტერესდა ჩვენი იდეებითა და საქმიანობით და შედავითიანი სესხი 2%-იანი წლიური სარგებლით გამოგვიყო. თვალსაჩინო შედეგთან ერთად, რაც ჩვენს მომხმარებელზე აისახება, ყოველი ახალი პარტნიორი გვიდასტურებს, რომ ჩვენი საქმიანობა ღირებულია და გვაძლევს მოტივაციას მოვიძიოთ ახალი პარტნიორები და დამფინანსებლები.

პუბლიკაცია EthicCapital-ის შესახებ

შვეიცარიულ ბანკთან „Freien Gemeinschaftsbank Basel“ ჩვენი თანამშრომლობის შესახებ ადრეც მოგახსენებდით. ის ჩვენს განვითარებას ყურადღებით ადევნებს თვალყურს და კვლავ გვამხნეებს თავისი თანადგომით, რასაც ძალიან ვაფასებთ. აღნიშნული ბანკის გაზეთ „ტრანსპარენცი“-ს ივნისის თვის გამოცემაში სტატია EthicCapital-ის აქტუალურ მდგომარეობის შესახებ გამოქვეყნდა. ორიგინალი იხ. <http://www.gemeinschaftsbank.ch/images/stories/pdf/transparenz64.pdf> გვერდი 15. თარგმანი წაიკითხეთ აქ: <http://ethicfinance.ge/pdf/Presse/Transparenz%20Nr.%2064%20Artikel%20ueber%20EthicCapital-ge.pdf>

მადლობა

ბოლოს კი გვსურს, გულითადი მადლობა გადავუხადოთ ყველა დაინტერესებულს, საკრედიტო კავშირის წევრებს, EthicCapital -ის ყველა ძველ, თუ ახალ პარტნიორს. ჩვენ ვაფასებთ მათთან თანამშრომლობას და მომავალშიც ვისურვებთ ნაცოფიერი ურთიერთობის გაგრძელებას.

EthicCapital ცნობის ფურცელი

კონტაქტი

ვაჟა-ფშაველა,

VII. კვარტალი,

18. კორპუსი,

1. სადარბაზო,

2. სართული

0183 თბილისი

საქართველო

ტელ.: (+995) 32 2 30 43 69

Ethiccapital@gmail.com

www.ethicfinance.ge